SBA

საქართველოს ბიზნესის აკადემია- SBA
უნიკალური წარმატებისათვის!

კატალოგი
2025 წელი

WWW.SBA.EDU.GE

სარჩევი

დირექტორის მიმართვა 3
რატომ არის SBA საუკეთესო არჩევანი? 4
საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები 5
მისია 6
ხედვა 7
ღირებულებები 7
ჩვენი პარტნიორები 8
საზოგადოებას თან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური 9
ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში 10
ევროპის ხარისხის ნიშანი 13
ბრენდირება 14
პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში 15
აკადემიის პერსონალი 17
სტრუქტურა 18
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის 19
სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა 20
სამეცნიერო მუშაობა 27
საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მეთოდები 28
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 30
ფინანსები 30
ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური , დუალური) 31
ინფორმაციის ტექნოლოგია 32
ლოგისტიკა 34
კომპიუტერული ქსელი და სისტემები 35
სკოლამდელი განათლება 37
საბაჟო საქმე 38
საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი) 39
ფარმაცია 41
საექთნო საქმე 43
ლოგისტიკა (ინტეგრირებული) 44
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული) 45
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები 46

სარჩევი

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი 47
სასწავლო პროცესის რეგულირება 48
ინგლისური ენის სასერტიფიკატო პროგრამები 48
საინფორმაციო ტექნოლოგიების სასერტიფიკატო პროგრამა 50
საერთაშორისო სერტიფიკატი SBA -ში „CISCO ACADEMY" 51
პროფესიული მომზადება /გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები 52
საბაჟო დეკლარირება 52
სალარო ოპერაციების განხორციელება 53
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა 54
კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა 56
საალმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 57
სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა 58
გერიატრიული ასისტენტი 59
პარაფარმაციის კონსულტანტი 60
ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება) 61
პარტნიორ ბიზნესებთან ერთობლივად განხორციელებული პროგრამები 62
დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში 63
მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი 64
სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი 65
მდებარეობა და კონტაქტი 66

ჩვენი საქმიანობის მიზანია - ხელი შევუწყოთ სტუდენტების მიერ ყველა იმ ცოდნის, უნარების დაუფლებასა და ფასეულობათა ჩამოყალიბებას, რაც მათ წარმატებით დასაქმების საშუალებას მისცემს.

დირექტორის მიმართვა

თანამედროვე დინამიურ სამყაროში სათანადო განათლების მიღება სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებაა. წლების განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბებულმა განათლების სისტემამ უკვე მოგვცა თავისი უარყოფითი შედეგები . სახეზეა არაკვალიფიციური, თუმცა დიპლომიანი სპეციალისტებით გაჯერებული შრომის ბაზარი, რაც თავის მხრივ ზრდის უმუშევრობის დონეს და შესაბამისად ხელს უწყობს ქვეყნის მაკრო ეკონომიკურ არასტაბილურობას.

ჩვენ, ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფმა გადავწყვიტეთ საზოგადოებას შევთავაზოთ მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები. ამიტომაც, საუკეთესო უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, შევქმენით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება, რითაც მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისწავლით რა SBA-ში, თქვენ შეძლებთ საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრულ რეალიზებას, განივითარებთ სწორედ იმ უნარებს, ჩვევებს და გამოიმუშავებთ ღირებულებებს, რაც მოგცემთ დასაქმებისა და წარმატებული კარიერის შექმნის რეალურ შანსს. ჩვენი ადმინისტრაციული პერსონალი, საუკეთესო სასწავლო ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და სასწავლო ლაბორატორიები, მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები და შემოქმედებითად მოაზროვნე, მოტივირებული პერსონალი გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ჩვენთან გატარებული პერიოდი სრულად მოემსახურება თქვენს პიროვნულ და პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას.

სტუდენტობის პერიოდი მხოლოდ სწავლას არ გულისხმობს, ჩვენ მზად ვართ ეს წლები თქვენი ცხოვრების დაუვიწყარ და საუკეთესო პერიოდად ვაქციოთ. გექნებათ შესაძლებლობა გაიმრავალფეროვნოთ ცხოვრება სპორტული და კულტურული ღონისძიებებით, გაიცნოთ მრავალი საინტერესო ადამიანი და მონაწილეობა მიიღოთ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში. პრაქტიკის პერიოდში, რეალურად გექნებათ საშუალება თქვენს მომავალ დამსაქმებლებთან წარმოაჩინოთ აკადემიაში შეძენილი უნარები და პროფესიონალიზმი. სწორედ საქმის პრაქტიკოსები და მომავალი დამსაქმებლები იქნებიან თქვენი მასწავლებლები, შემფასებლები და მომავალში - კოლეგები. გვიხარია, რომ დაინტერესდით ჩვენი აკადემიით. გვეწვიეთ ნებისმიერ დროს. იხილეთ ჩვენი ვებგვერდი www.sba.edu.ge გაესაუბრეთ ჩვენს პერსონალს და სტუდენტებს, რათა დარწმუნდეთ ამ სასწავლებლის უპირატესობებში.

მოუთმენლად ველოდებით თქვენთან შეხვედრას,
ია ერაძე

რატომ არის SBA საუკეთესო არჩევანი?

საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA არის

- პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ინიციირებითაც პროფესიული განათლების სისტემამ სხვადასხვა პერიოდში ხუთი მოთხოვნადი ახალი კვალიფიკაცია შეიძინა;
- პირველი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც მოდულური პროგრამების პილოტირება და დანერგვა დაიწყო;
- პირველი კერძო დაწესებულება, რომელმაც პროგრამაგანახორციელა დუალურად;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც მოიპოვა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება;
- პირველი კერძო დაწესებულება, რომელმაც განახორციელა უცხოურენოვანი (ინგლისური) პროფესიული პროგრამა;
- პირველი კოლეჯი საქართველოში, რომელმაც მიიღო „საუკეთესო სამეწარმეო სკოლა 2019"-ის საერთაშორისო აღიარება (ფინეთში);
- პირველი კერძოკოლეჯი, რომელმაც ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში ევროპული კოლეჯის წარმომადგენლებს უმასპინძლა.
- პირველი კოლეჯისაქართველოში, რომელმაც „ჰსპ ფარმასთან" თანამშრომლობით წარმატებით განახორციელა USAID-ის საგრანტო პროექტი სახელწოდებით: „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის".
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთათვის მასშტაბური დასაქმების ფორუმების პრაქტიკა დანერგა;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც საზოგადოებას ბიზნესპარტნიორთან თანამშრომლობით შესთავაზა ერთობლივი პროფესიული მომზადების პროგრამა;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომლის ბაზაზეც პარტნიორმა კომპანიებმა შექმნეს საკუთარიდარგობრივი ლაბორატორიები;
- პირველი კოლეჯი, რომლის სტუდენტებიც პრაქტიკებზე სახელმწიფო სტრუქტურებში იქნენ დაშვებულნი;
- პირველი კერძო, კოლეჯი რომელსაც მართვის კოლეგიალური ორგანო ჰყავსადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც საკუთარ ბაზაზე დააფუძნა „CISCO ACADEMY" და აკადემიის სტუდენტებს IT მიმართულებით საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის მიღების შესაძლებლობას აძლევს;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაც პანდემიისპირობებში წარმატებით დაიწყო დისტანციური სწავლება Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პაკეტით;
- პირველი კერძო კოლეჯი, რომელმაცსაერთაშორისო გრანტის ფარგლებში დაიწყოსაკუთარი სერვისებისა და პროცესების მაქსიმალური გაციფრულების პროცესი.

საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები

- აკადემია ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და მიიღებს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს.

- SBA გთავაზობთ მაღალი ხარისხის, სრულიად თანამედროვე, შედეგებზე ორიენტირებულ პროგრამებს, რომელთა მომხიბვლელობა სწორედ ისაა, რომ კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტების მარტივად დასაქმებას უწყობს ხელს. ამ პროგრამებში პრაქტიკული სწავლების წილი იმდენად დიდია, რომ ისინი თანამშრომლებად უფრო გრძნობენ თავს, ვიდრე სტუდენტებად. პროგრამების ხანგრძლივობა პროფესიის ადეკვატური და მოქნილია.

- აკადემია 2018 წლიდან ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დუალური სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის 50%-ის და მეტის სასწავლო საწარმოში ანუ პარტნიორ კომპანიაში სწავლებასა და დასაქმებას. პროფესიული სტუდენტები სწავლის პერიოდშივე იღებენ შრომის ანაზღაურებას და მუშაობის პროცესში ითვისებენ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

- გარდა პროფესიული პროგრამებისა, აკადემია გთავაზობთ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს. აღნიშნული პროგრამები დადასტურებულია სახელმწიფოს მიერ და გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი და მისი დანართი.

- აკადემია 2018 წლიდან ახორციელებს ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დუალური სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის 50%-ის და მეტის სასწავლო საწარმოში ანუ პარტნიორ კომპანიაში სწავლებასა და დასაქმებას. პროფესიული სტუდენტები სწავლის პერიოდშივე იღებენ შრომის ანაზღაურებას და მუშაობის პროცესში ითვისებენ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

- ჩვენ მიერ შეთავაზებული სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ განახლებული ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე www.sba.edu.ge რუბრიკებში „სასერტიფიკატო პროგრამები.“

მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

ჩვენი მისიაა ვიყოთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის.

ხედვა

წარმოვადგენდეთ ორგანიზაციას, სადაც საზოგადოების წევრები და ეკონომიკური აქტორები პოულობენ ხარისხიან, მათ საჭიროებებზე მორგებულ, ხელმისაწვდომ და ინოვაციურ გადაწყვეტას პიროვნული, პროფესიული და ორგანიზაციული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

მისიიდან გამომდინარე, საკუთარ საქმიანობაში აკადემია ეყრდნობა შემდეგ მთავარ ღირებულებებს:

- ინოვაციურობა
- სამართლიანობა
- გუნდურობა
- ხარისხზე ორიენტირებულობა
- ამბიციურობა

ჩვენი პარტნიორები

პარტნიორ ორგანიზაციებში დანერგილი მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტები გვავალდებულებს ასეთივე სტანდარტების დაცვას.

საერთაშორისო პარტნიორობა

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA 10-ზე მეტ ქვეყანაში 30-მდე პროფესიულ საგანმანათლებლო ინსტიტუციასთან აქტიურად თანამშრომლობს.

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი

BS Info München

მიუნხენის ინფორმაციის ტექნოლოგიების მუნიციპალური პროფესიული სკოლა

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი

BBS II KERSCTMNSTEINER SCHOOL

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი

BBS WECHLOY

BBS WEWECHLOY
PROFESSIONAL SCHOOL

ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმი

გიუმრის სახელმწიფო
სამედიცინო კოლეჯი

ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში

საქართველოს ბიზნესის აკადემია– SBA–მ სტუდენტთა და აბიტურიენტთა ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაციასთან პარტნიორობით გაიმარჯვა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: "პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა და განვითარება, რომლის ფარგლებშიც წარმატებით განხორციელდა ინტელექტუალური ოლიმპიადა „მომავლის ბიზნესმენები".

საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA–მ „პსპ ფარმასთან" თანამშრომლობით მონაწილეობა მიიღო USAID–ის პროექტის განხორციელებაში სახელწოდებით: "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის", პროექტის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული მომზადების პროგრამა „პარაფარმაციის კონსულტანტი" და პროფესიული გადამზადების პროგრამა „ ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)", რომელთა განხორციელების უფლებაც აკადემიამ ასევე წარმატებით მოიპოვა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA–მ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებულ „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო" 2022 გაიმარჯვა პროფესიული უნარების სააგენტოს სპეციალურ ნომინაციაში „წლის საერთაშორისო ინიციატივა", ხოლო ნომინაციაში „პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი" გაიმარჯვა „პსპ ფარმამ", რომელიც საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA–სთან ბიზნესის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია.

ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისა და პარტნიორი ორგანიზაციის GDBA – საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის ერთობლივმა პროფესიული მომზადების პროგრამამ „დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში" გაიმარჯვა ნომინაციაში: „წლის პროფესიული განათლების მომზადება/გადამზადების პროგრამა" (მოკლევადიანი), ასევე ისრაელის საელჩოს სპეციალური პრიზი გადაეცა– SBA-ს პროფესიულ მასწავლებელს, ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ნატა ჩხაიძეს.

CERTIFICATE

For your outstanding contribution in global partnerships for development and exemplary effort in global learning we award the project group SBA-Business Academy, Georgia & BBS Welchoy, Germany Gemeinsam - unser Partnerschaftssong auf Georgisch und Deutsch

the

8th Place

of the bridge-it! Award 2021

Congratulations on behalf of the Jury of the bridge-it! Award 2021:

Dr Reinhild Reine Ernst, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)
Katharina von Münster, Entwicklungspolitischen Schulaustauschprogramm (ENSA) von Engagement Global
Dr Sascha Müller, bridge-it! e.V. Berlin
Kahalo Sékongo, Programm "Bildungs trifft Entwicklung" am Entwicklungspolitischenpädagogischen Informationszentrum (EPIZ) Reutlingen
Lucia Muriel, global e.V. Berlin
Lawrence Oduro-Sarpong, Africaterv International e.V.
Christoph Steinbrink, Zentrum Globales Lernen
Brigitta C. Wilhelm, Berliner Komitee für UNESCO-Arbeit e.V.

Mitwirkende:

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-მ და BBS Wechloy-მ წარმატებით განახორციელეს პროექტი „პარტნიორობა და კრიზისები", რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სიმღერა „Gemeinsam", რომელიც მე-8 ადგილის ჯილდოს მფლობელი გახდა. რის ფარგლებშიც, აკადემიას გადაეცა საერთაშორისო სერტიფიკატი განსაკუთრებული წვლილისთვის გლობალური პარტნიორობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვისა და სამაგალითო ძალისხმევისთვის.

Advice for Small Businesses

Certificate of completion

In partnership with the EBRD

BUSINESS ACADEMY OF GEORGIA - SBA LTD

Has successfully implemented an advisory project in the area of Marketing

Tbilisi, Georgia
January, 2021

European Bank
The European Union for Georgia

Nadia Pedersen, Director Regional Network
SME Finance & Development Group, EBRD

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-მ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ ორგანიზებულ „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო" 2022 გაიმარჯვა პროფესიული უნარების სააგენტოს სპეციალურ ნომინაციაში „წლის საერთაშორისო ინიციატივა", ხოლო ნომინაციაში „პროფესიული განათლების ბიზნეს პარტნიორი" გაიმარჯვა „პსპ ფარმამ", რომელიც საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA-სთან ბიზნესის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია.

ალიარება და აკრედიტაცია

პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში



აკადემიის პერსონალი

აკადემიის პერსონალს გააჩნია სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და მართვის დიდი გამოცდილება. სისტემატურად ხორციელდება მათი კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც სასწავლებლის, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების საშუალებით. აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ გვყავს საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც სამეცნიერო და საქმიან წრეებში სარგებლობენ მაღალი რეპუტაციით და აქვთ უდიდესი გამოცდილება, რომელსაც უშურველად გადასცემენ სტუდენტებს. ისინი საუკეთესო შეფასებებს იღებენ სტუდენტთა გამოკითხვებში.

ფინანსისტთა და ბუღალტერთა რიგით III დაჯილდოებაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-დან ნომინირებული, აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დარეჯან კვატაშიძე, რომელმაც დასახელებულ ნომინანტებს შორის გაიმარჯვა ნომინაციაში: ,,ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის".

სტრუქტურა

SBA
საქართველოს ბიზნესის აკადემია
BUSINESS ACADEMY OF GEORGIA



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთათვის

შშმ/სსსმ პირების მხარდაჭერის ღონისძიებები – SBA ქმნის პირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის განათლების მისაღებად და ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრირებას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ ყველა აუდიტორიასა და კაბინეტში. მათთვის მოწყობილია პანდუსები და ხელმისაწვდომია აკადემიის მიერ შეთავაზებული ყველა სახის სერვისი. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია დახმარება გაუწიოს აღნიშნულ პირებს გადაადგილებაში.

სმენადაქვეითებული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო მასალები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ფორმით. გამოცდების პროცესი განხორციელდება წერილობითი ფორმით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ჟესტური ენის მცოდნე პირებთან. მიზნობრივი ჯგუფის საჭიროების გათვალისწინებით, აკადემიაში შექმნილია საშაბათო სკოლა, სადაც ხორციელდება ვებ–დიზაინის სასერტიფიკატო პროგრამა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მხედველობადაქვეითებულ პირთა განათლების საკითხებს. გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უსინათლოთა კავშირთან, რომელიც სპეციალური აპარატურით აღჭურვილ სტუდიაში უზრუნველყოფს სასწავლო და მხატვრული მასალების ჩაწერას აუდიო მატარებლებზე. არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ასეთი პირებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ელექტრონულ მატარებლებზე ჩაწერილ ინფორმაციას.

აკადემიის სერვისები

1 პროფესიული კვალიფიკაციები

2 სრული ზოგადი განათლება

3 პროფესიული მომზადება

4 პროფესიული გადამზადება

5 მიზნობრივი ტრენინგები

6 არაფორმალური განათლების აღიარება

7 ფორმალური განათლების აღიარება

8 შიდა და გარე მობილობა

9 საერთაშორისო მობილობა

10 პროფესიული ორიენტაცია

11 კარიერული მხარდაჭერა

12 საგანმანათლებლო რესურსების განვითარება

13 მასწავლებელთა მეთოდური მხარდაჭერა

14 პერსონალის პროფესიული განვითარება

15 კერძო სექტორის მხარდაჭერა

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტირა

სტუდენტთა სერვის-ცენტრი გასცემს ინფორმაციას და უწევს კონსულტაციას რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, პრაქტიკების, შეფასების საორგანიზაციო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების შესახებ.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა – ახორციელებს სტუდენტთა მომსახურებას, გასცემს ინფორმაციას და კონსულტაციებს რეგისტრაციის, ჩარიცხვის, ექსტრაკურიკულური აქტივობების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. გასცემს ცნობებს, საჭირო დოკუმენტაციას და სხვა. აკადემიის ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს აკადემიის სერვისებით მოსარგებლე პირების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე მათ მხარდაჭერას. აკადემიის სერვისებით მოსარგებლეები პირების მოთხოვნიდან იმავე ან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხორციელდება ინფორმაციის მიწოდება ან სხვა მოთხოვნილი სერვისით უზრუნველყოფა. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოთხოვნის ადმინისტრირება საჭიროებს გარკვეულ დროს. ეს უკანასკნელი არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პერიოდს.

საკონსულტაციო მომსახურება – აკადემიაში საკონსულტაციო მომსახურება წარმოებს ისეთი მიმართულებით, როგორიცაა:

- პროფორიენტაცია და კარიერის მართვა
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები
- სასწავლო პროცესი
- ექსტრაკურიკულური აქტივობები
- ადმინისტრაციული საკითხები
- ჯანდაცვა და უსაფრთხოება
- საფინანსო სერვისები
- სხვა საკითხები, პირის საჭიროების მიხედვით

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტირა

საქართველოს ბიზნესის აკადემია–SBA გთავაზობთ:

ფორმალური განათლების აღიარებას აკადემიის ფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად. ფორმალური განათლების აღიარების წესი ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების პირობებსა და პროცედურებს. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდმის მიერაკადემიის რომელიმე პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები:

- სასწავლო პროცესი
- კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;
- კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
- დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა office@sba.edu.ge

არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობას!
არაფორმალური განათლების აღიარება პირს აძლევს შესაძლებლობას:

- მოახდინოს არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის აღიარება;
- მიიღოს სრული კვალიფიკაცია (შესაბამისად სახელმწიფოსმიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი);
- ან დააგროვოს კრედიტები კვალიფიკაციის სამომავლოდ მისაღებად.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია , არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდეგში – მაძიებლისთვის), ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვით დასაქმების ხელშეწყობა. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განაცხადის წარმოდგენა;
- კონსულტირება/დოკუმენტირება
- შეფასება;
- გადაწყვეტილების მიღება.

დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა info@sba.edu.ge

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტირა

სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მონიტორებით , ინტერნეტით რაც ქმნის სასიამოვნო და კომფორტულ სასწავლო გარემოს.

დარგობრივი აუდიტორია საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ქიმიური ლაბორატორია ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

C სიმულაციური გარემო შექმნილია, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკულ სასწავლო გარემოს პროფესიული სტუდენტებისთვის.

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

დარგობრივი აუდიტორია სიმულაციური აფთიაქი.

დარგობრივი აუდიტორია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დარგობრივი აუდიტორია ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

დარგობრივი აუდიტორია სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის.

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტირა

უცხო ენის ლაბორატორია იძლევა ონლაინ რეჟიმში სასწავლო პროგრამების გაშვებისა და აუდირების საშუალებას. სწავლებისას გამოიყენება სასწავლო ფილმები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.

კომპიუტერული ლაბორატორიები განკუთვნილია საკონტაქტო საათების ჩასატარებლად, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, ინდივიდუალური სამუშაო მაგიდებით, მუდმივი ინტერნეტით და დიდი მონიტორით.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA–ში „CISCO ACADEMY"–ის ბაზაზე ფუნქ
თანამედროვე ლაბორატორია.

საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA–ში მოწყობილია თანამედროვე ციფრული ტექნიკით აღჭურვილი ახალი კომპიუტერული ლაბორატორია!

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტირა

ბიბლიოთეკის წიგნსაცავში დაცულია მოდულების მიხედვით მითითებული ყველა სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელმისაწვდომია ნაბეჭდი ან/და ელექტრონული ფორმით.

სამკითხველო დარბაზში განთავსებულია ინდივიდუალური სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია მასალების დასკანერება, ასლების გადაღება და ამობეჭდვა. კვალიფიციური ბიბლიოთეკის გამგე ყოველთვის მზადაა მკითხველთა დასახმარებლად. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, კვირის გარდა 10:00 დან 18:00 საათამდე.

აკადემიაში ჯანდაცვისა დაუსაფრთხოების სამსახურისათვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე. სტუდენტებს ემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი, რომელიც ყოველთვის მზადაა გადაუდებელი დახმარების გასაწევად. ამისათვის არსებობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ყველა პირობა.

სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

IT სერვისები – აკადემიის პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს შეუძლიათ ისარგებლონ აკადემიის კომპიუტერული ტექნიკითა და უსადენო ინტერნეტით.

დარბაზი – გათვლილია 245 ადგილზე, მასში განთავსებულია სცენა, სათანადო განათება და აუდიო სისტემა. სცენა აღჭურვილია სპეციალური სამანქანო აპარატურით. დარბაზი გამოიყენება ლექციების, დიდი ღონისძიებების, სტუდენტთა თვითშემოქმედების, კონცერტების, კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიებების მოსაწყობად.

აკადემიაში ხელმისაწვდომია 13 პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამა. აღნიშნული პროგრამები მოკლე დროში უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირების მომზადებას/გადამზადებას მათთვის სასურველი მიმართულებით, რაც ხელს უწყობს პირთა სწრაფ დასაქმებას.

SBA ითვალისწინებს სტუდენტების მოთხოვნებს და ყოველთვის სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სერვისს, მათ შორის ტრანსპორტით მომსახურებასაც. აკადემიას ჰყავს მიკროავტობუსის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა გადაადგილებას და ეს სერვისი სრულიად უფასოა.

სამეცნიერო მუშაობა

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ყოველწლიურად ატარებს როგორც ადგილობრივი მასშტაბის, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, რომელიც არის სამ ენოვანი (ქართული, რუსული და ინგლისური) და მონაწილეობის საშუალება აქვთ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებსა და პროფესორ–მასწავლებლებს.

საქართველოს ბიზნესისაკადემია-SBA-ში დანერგილი ტრადიციის მიხედვით, კონფერენციის ყველა მონაწილეს საშუალება აქვს კონფერენციის ბანერზე დატოვოს თავისი ხელმოწერა, რასაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც აქვს.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ხელს უწყობს ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ყოველწლიურად ეწყობა მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრა – სემინარები, სადაც ხდება თანამედროვე გამოწვევების სისტემატიზაცია და სხვადასხვა წინადადებების შემუშავება ან ურთიერთგამოცდილების გაზიარება.

საქართველოს ბიზნესისაკადემია-SBA-ს ორგანიზებით გაიმართა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მე-10 პრაქტიკული კონფერენცია სახელწოდებით – „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება“.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მეთოდები

სწავლების პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე ცალკეულ მეთოდთა კომბინაცია და დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე, სპეციფიკური მეთოდები.

სწავლის/სწავლების პროცესში გამოყენებული ძირითადი მეთოდებია :

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, იგულისხმება ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა ან Power Point –ით პრეზენტაცია;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც მოიცავს ტესტურ მუშაობას, ქვიზების, საშარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისების, ესეებისა და რეფერატების მომზადებას;
- ჯგუფში დისკუსია/დებატები, რაც ითვალისწინებს სტუდენტების კამათში გამოწვევას, ინტერაქციული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირებას;
- გუნდური მუშაობა, რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდებში ლიდერული უნარების მქონე პიროვნებათა გამოვლინებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;
- თანამშრომლობითი მეთოდი, როცა ხდება სტუდენტთა ცოდნისა და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, სტუდენტთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას;
- შემთხვევების განხილვა და ანალიზი (case-studies), რომელიც აღწერს ისეთ კონკრეტულ სიტუაციებსა და პრობლემებს, რომლებიც საჭიროებენ განსჯას. ეს მეთოდი ემსახურება სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების წახალისებას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მეთოდები

- გონებრივი იერიში გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდება სტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური და ეკონომიკური მოვლენების აღწერისას;
- ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური და ეკონომიკური მოვლენების აღწერისას;
- დემონსტრირების მეთოდი იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს, სასწავლო ფილმებს, ინტერნეტ წყაროებს, აუდირებას, ცალკეული მოქმედებების დემონსტრირებას ლაბორატორიული მუშაობის დროს (საოფისე პროგრამები) და სხვა.
- ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი – გულისხმობს ვიდეო მასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენებას, პედაგოგისა და სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარის დემონსტრირებას და სხვა;
- ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება და საშინაო დავალებების ჯგუფური განხილვა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობა სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია;
- როლური და სიტუაციური თამაშები – თამაშის ტიპის მეთოდი, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს.
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი – მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ, პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში და სხვ.

ფინანსები

1. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

3. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:**
საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს:
სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

4. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს მოამზადოს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას.

5. **სწავლის შედეგები:**
ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
ა) აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო და საბანკო დაწესებულებებში;
ბ) განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები; გ) შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები; დ) ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

6. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 61კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 10. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა15 სასწავლო თვე.
ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 76 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 31, პროფესიული მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 10. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე.

ბუღალტრული აღრიცხვა

1. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

3. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:**
ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად,
ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკი ს განხორციელების გზით.

4. **მიზანი:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში და სხვა.

5. **სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:** შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა; შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები); აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები და შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები; მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება; აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით; აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე; აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა; შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

6. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი.

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 129 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 88 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 25 თვე. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 129 კრედიტი.

დარეჯან კვატაშიძე: "SBA ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო კოლეჯია, სადაც სწავლებაც და სწავლაც საინტერესო და მიმზიდველია"

ინფორმაციის ტექნოლოგია

1.მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

3. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

4.პროგრამის მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის - პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს აპარატურული უზრუნველყოფასა და ოპერაციული სისტემების დაყენებას, განახლებას, დაზიანებების აღმოფხვრას, ოპტიმიზაციას, დიაგნოსტირებასა და მომსახურებას .

5.სწავლის შედეგები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია: აწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი,

- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები,
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი,
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა და უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება,
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი; შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა

ინფორმაციის ტექნოლოგია

6.პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის61კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 16, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 10. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა15 სასწავლო თვე.

ფინანსების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 76 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 31, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 35 კრედიტი, არჩევითი პროფესიული მოდულების - 10. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე.

27 არჩევით კომპონენტად შერჩეულ იქნა რუსული ენისა და კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის მოდულები, ვინაიდან:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განეკუთვნება მომსახურების სფეროს, ხოლო მომხმარებელთა კატეგორია შესაძლოა იყოს რუსულ ენოვანი, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება საშუალო დონეზე დაამყაროს კომუნიკაცია ასეთი ტიპის მომხმარებლებთან.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული არის ფართო პროფილის საფინანსო სერვისების განმახორციელებელი პირი, ამასთან დასაქმების პროფილი არის ფართე, მათ შორის ლომბარდები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელეი პუქტები და სხვა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პროფესიულ სტუდენტს გაუძლიერდეს უნარები საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის მიმართულებით და მარტივად შეძლოს პროფესიული კომპიუტერული პროგრამების ინსტალაცია, ვირუსებისგან დაცვა და სხვა.

ლაშა იაშვილი: "საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA ჩემთვის ასოცირდება წარმატებასთან"

ლოგისტიკა

1. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში

2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

3. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:** ტვირთების გადამზიდვა ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოგისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟოსატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭროლოგისტიკური კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო ტერმინალური კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

4. **მიზანი:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვებისა და პორტის ლოგისტიკის სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაცშეეძლება სატრანსპორტო, სასაწყობო, საპორტო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა;ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი
და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა;ნავსადგურში მგზავრებისა და ტვირთის მოძრაობა.

5. **სწავლის შედეგები:** ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია: დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები; გააფორმოს შეკვეთა; განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი; შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია; გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები; მიიღოს ტვირთი საწყობში; გააკონტროლოს ნაშთები.

6. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 69 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 15, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 13 თვე.
ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის99კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 45, პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 54 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 19 თვე.

ტიტე ბოლქვაძე: "მიხარია, რომ მეც იმ გუნდის წევრად ვითვლები, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იღწვის აკადემიის განვითარებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას"

კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)

1.მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში/ Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems;

2.დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის.

3.დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: კომპიუტერული ქსელისა და სისტემების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება

4.მიზანი: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრი. კერძოდ: კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

5. სწავლის შედეგები: . სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა; 2. Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია; 3. ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება; 4. ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება; 5. დომეინური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება; ფაილური და ბეჭდის სერვერის ბაზისური მართვა; 7. სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა. 8. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა; 9. Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება; 10. Linux-ის ფაილური სისტემის მართვა; 11. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა; 12. სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება; 13. დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება; 14. კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება; 15. ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.

ლაშა იაშვილი: "საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA ჩემთვის ასოცირდება წარმატებასთან"

სკოლამდელი განათლება

1. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ,,უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/ Hihger Vocational in Qualification in Preschol Eduacation".

2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

3. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:**_სკოლამდელ აღზრდაში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას, უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემოს უზრუნველყოფას, ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციასა და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

5. **სწავლის შედეგები:** აღმზრდელის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

6. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** სკომადელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 116 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტ
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 22 თვე.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 146 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 41, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი.
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 28 თვე.

მაია მიჩილაშვილი:"SBA- ეს შესაძლებლობაა გახდე ღირსეული და საუკეთესო კადრი! ეს შესანიშნავი გამოცდილებაა, შანსია გახდე წარმატებული"

საბაჟო საქმე

1.მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:
უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

3. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად.

4. პროგრამის მიზანი: პროფესიული პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

5. სწავლის შედეგები: განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა; გააკონტროლოს ფიზიკური პირი; გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები; განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება; განსაზღვროს სასაქონლო ოპერაცია და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს; განახორციელოს საბაჟო დეკლარირება; განახორციელოს საბაჟო გაფორმება; განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი; განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები; განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

6. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა: საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 106,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულებს საერთო ხანგრძლივობის 12%-ის მოცულობით. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე. არჩევითი მოდულები შერჩეულ იქნა დარგის სპეციფიკისა და მიმართულების მიხედვით. რაც

დაეხმარება კურსდამთვრებულს დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში. საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის შეადგენს 136,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 26 სასწავლო თვე.

ნათია გაჩეჩილაძე: "მე ვამაყობ რომ ვარ SBA-ელი".

საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი)

1. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში

2. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

3. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები: საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან.

4.პროგრამის მიზანი: პროფესიული პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

5.სწავლის შედეგები:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა, გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
- გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები, განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს სასაქონლო ოპერაცია და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს; განახორციელოს საბაჟო დეკლარირება; განახორციელოს საბაჟო გაფორმება; განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
- განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები; განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

6.პრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:_საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება ინგლისურ ენაზე. მოცულობა შეადგენს 109,5 კრედიტს და მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს 65%, ხოლო თეორიულ კომპონენტს 35%. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულებს საერთო ხანგრძლივობის 18,6%-ის მოცულობით. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე. არჩევითი მოდულები შერჩეულ იქნა დარგის სპეციფიკისა და საერთაშორისო გამოყენების თვალსაზრისით. რაც დაეხმარება კურსდამთვრებულს დაკისრებული მოვალეობის უკეთ შესრულებაში.

ფარმაცია

1. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:**
„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higer Vocational Qualification in Pharmacy"

2.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ჯანდაცვის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების მიღების განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.
3.დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

4.კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტში, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

5.სტრუქტურა და მოდულები საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა - 120 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს - 85 კვირას არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა - 150 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს - 107 კვირა 6.

6. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები** კურსდამთავრებულს შეუძლია:
შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად; დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა; შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა; განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე; ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი; განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება; მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები; გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები; განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ; განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია; განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ; დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

ნატა ჩხაიძე: "SBA – ხიდია ხარისხიანი განათლებიდან ღირსეულ დასაქმებამდე."

საექთნო საქმე

1. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higer Vocational Qualification in Nursing"
2. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.
3. **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება
4. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები** საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურება
5. **საგანმანათლებლო პროგრამა** ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და დარგობრივ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო დარგობრივი მოდულების კრედიტების რაოდენობა - 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა - 180 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს - 127 კვირას არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა - 210 კრედიტი, სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს - 149 კვირას

6. **სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

მარინე მუშკუდიანი:
„SBA საოცრად მოტივირებული, ორგანიზებული, ურთიერთობებში დემოკრატიული პრიციპებით აღჭურვილი გუნდია"

ლოგისტიკა (ინტეგრირებული)

1.მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში / Secondary Vocational Qualification in Logistics

2.დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

3.დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეუძლია დასაქმდეს ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო - ლოჯისტიკურ ორგანიზაციებში; საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში; სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ასოციაციებში; სატრანსპორტო და საექსპედიციო ორგანიზაციებში; სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსებში; სავაჭრო-შემსყიდველ და საშუამავლო ორგანიზაციებში; მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუციო ორგანიზაციებში; გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში; საბაჟო-ტერმინალურ კომპლექსებში; სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

4.მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სატვირთო გადაზიდვებისა და პორტის ლოგისტიკის სფეროსთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელსაც შეეძლება სატრანსპორტო, სასაწყობო, საპორტო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის საწყობში შენახვის ორგანიზება; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; ნავსადგურში გადაზიდვების მონიტორინგი და დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, კურსდამთავრებულები აღჭურვილნი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

5.სწავლის შედეგები: დაგეგმოს სატვირთო გადაზიდვები; გააფორმოს შეკვეთა; განახორციელოს გადაზიდვების მონიტორინგი; შეავსოს სატრანსპორტო დოკუმენტაცია; გადაზიდვების დროს გამოთვალოს ლოგისტიკური დანახარჯები; მიიღოს ტვირთი საწყობში; გააკონტროლოს ნაშთები

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი დიპლომი და სრული ზოგადი განათლების ატესტატი.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

1. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
2. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
3. **კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სფეროში: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

4. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს ნეგატიური ასპექტებისაგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი შექმნას პირობები ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა.
5. **სწავლის შედეგები**: შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა; შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები; შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი; შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები; დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები; განახორციელოს ევაკუაციის პროცესები; გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება; გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები; აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება; შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა; განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი; დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება; აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება; აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.
6. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:** შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო 3 მოდული ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. პროფესიული სავალდებულო 21 მოდული ჯამური 109 კრედიტის ოდენობით. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა - 23 თვე.

ნათია დოლიძე

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის მეხელმძღვანელა სწორედ საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში, ვინაიდან SBA არის ჩემთვის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ყველაზე ხარისხიანად დანერგავს აღნიშნული პროგრამის სწავლების პრაქტიკას.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

- მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
- სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდება შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვთ.

- სწავლის შედეგის მიღწევა ერთი პროგრამის ფარგლებში დასტურდება მხოლოდ ერთხელ. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

- საგანმანათლებლო პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება მოდულის განმახორციელებელი პირის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

  ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- აკადემიაში პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემას და პროცედურულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასურების წესი“.

სასწავლო პროცესის რეგულირება

SBA

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების, მობილობის წესები დადგენილია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესით (იხ. ვებ გვერდი: www.sba.edu.ge რუბრიკა "მარეგულირებელი აქტები").

ინგლისური ენის სასერტიფიკატო პროგრამები



საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ამიტომაც საზოგადოებას დამატებითი სერვისის სახით ვთავაზობთ ინგლისურის, როგორც თანამედროვე ბიზნესის საერთაშორისო ენის სასერტიფიკატო პროგრამებს. ეს პროგრამა ჩვენი სტუდენტებისათვის ინტეგრირებულია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებში, თუმცა მსურველებს შეუძლიათ მისი გავლა პროფესიული პროგრამებისაგან დამოუკიდებლად

.

ევროსაბჭოს განათლების კომიტეტისა და უცხოური ენების განყოფილებამ უცხოური ენების სწავლა/სწავლებისა და შეფასებისათვის შეადგინა და გამოსცა საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო. ამ ჩარჩოს მიზანია, შექმნას წევრ-ქვეყნებისათვის საერთო ბაზა ენის ცოდნის კვალიფიკაციის განსასაზღვრად და ხელი შეუწყოს მასწავლებლების, პროგრამების შემდგენლების, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციებისა და უცხოური ენების სწავლების ადმინისტრატორების შეთანხმებულ მოქმედებას.

ჩვენ, მსურველებს ვთავაზობთ A1 (გასაღები), A2 (საფუძველი), B1 (ზღვრული), B2 (ზღვრული განვითარებული), C1 (მაღალი) დონის პროგრამებს, საორიენტაციო გამოცდის საფუძველზე მსმენელი ჩაირიცხება შესაბამის დონეზე და სწავლას განაგრძობს ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისად.

ჩვენ ვიყენებთ საუკეთესო სასწავლო ლიტერატურას და უცხო ენის სპეციალიზებულ ლაბორატორიას, რაც იძლევა აუდირების, სასწავლო ფილმების, ასევე ინტერნეტის გამოყენების საშუალებას ენის სწავლების პროცესში.

სასწავლო კურსის დასრულებისას მსმენელზე გაიცემა ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სასერტიფიკატო პროგრამა

SBA

არასოდეს გიმუშავიათ კომპიუტერთან, გსურთ ახალი საოფისე პროგრამის დაუფლება ან პროგრამის ახალი ვერსიის ათვისება? საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA გთავაზობთ სასერტიფიკატო კურსს საოფისე პროგრამებში.

Office

კურსი მოიცავს კომპიუტერთან მუშაობის ძირითად უნარებს და აუცილებელ საოფისე პროგრამებს, რაც გაგიადვილებთ სამუშაო ადგილის პოვნას და გააუმჯობესებს თქვენი მუშაობის ეფექტიანობას.

ჩვენი სტუდენტები პროფესიული პროგრამების ფარგლებში სწავლობენ

- MS Windows
- Word
- Excel
- Powerpoint საოფისე პროგრამებს
- და Internet.

თუმცა ჩვენი კარი ღიაა სხვა დაინტერესებული პირებისათვისაც.

ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება ხუთს, რაც საშუალებას გვაძლევს მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ თითოეულ მსმენელს. შესაძლებელია ინდივიდუალურ რეჟიმში სწავლება.

საბაჟო დეკლარირება

1. **პროგრამის სახელწოდება:** საბაჟო დეკლარირება
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 9 კვირა
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** სრული ზოგადი განათლება
4. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობას და მარტივი ბუღალტრული ოპერაციების განხორციელებას.
5. **სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის ინსტალაცია;
- კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა
- კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების შენახვა;
- ფორმულებისა და ფუნქციების გამოყენებით ელექტრონულ ცხრილებში მუშაობა.

6. **პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ ელექტრონული ბუღალტერია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის AB სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

სალარო ოპერაციების განხორციელება

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** სალაროს ოპერაციების განხორციელება
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 9 კვირა
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** საბაზო განათლება
4. **პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარ რომელთა გამოყენებით შეძლებენ სალაროს ოპერაციების განხორციელებას და ნაღდ ანგარიშსწო დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებას.

5. **სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით კურსდამთავრებულს შეუძლია:**

- ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციების (თანხის მიღება/გაცემა) განხორციელება;
- სალაროს გახსნისა და სალაროს დახურვის ოპერაციების განხორციელება;
- სალაროს ნაშთის კონტროლის განხორციელება;
- ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების ინკასაციის ოპერაციის განხორციელება

6. **პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ საბაზო განათლებას და აქვთ ნაღდ ანგარიშსწორებასა და სალაროსთან მუშაობის ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული ს პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 135 საათს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ბაზაზე.

სწავლების გან და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A და B სასწავლო გარემოში. აკადემიის B სა განთავსებული კომპიუტერები აღჭურვილია Alta Software-ის კომპიუტერული პროგრამით.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალ შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურე სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შე კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა;

2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**: 10 კვირა

3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** - სრული ზოგადი განათლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება

   პროგრამის მიზნები: მსმენელების გადამზადება დარგში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რაც მათ დაეხმარებათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში.

4. **სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)** კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგიისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სწავლებისთვის ეფექტური და უსაფრთხო გარემოს შექმნა
- დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება 3. თემისა და ოჯახის ჩართულობის უზრუნველყოფის პრაქტიკული სტრატეგიების გამოყენება
- ინკლუზიური განათლების ღირებულებებისა და პრინციპების განსაზღვრა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან დოკუმენტირებული დაკვირვებების წარმოება და მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა

5. **პროგრამის მოკლე აღწერა:** პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ სულ მცირე სრული ზოგადი განათლება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით. სასწავლო პროცესი წარიმართება 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის მოცულობა 160 საათია. სწავლებისას გათვალისწინებულია როგორც ინტერაქციული მეცადინეობები, ისე პრაქტიკული სწავლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ ქ. თბილისის 36-ე ბაგაბაღი; ა(ა)იპ ქ. თბილისის 58-ე ბაგა-ბაღი; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შპს „ანიონა“; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შპს „თამარელა“.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა

2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 9

3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** - საბაზო განათლება
4. **პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში ან საკუთარი მოხმარებებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
5. სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
2. ოპერაციული სისტემის გამართვა;
3. გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია;
4. ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
5. ქსელური მოწყობილობების დამისამართება.

6. **პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ საბაზო განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის AC სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, IT-Essential-ის სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსის მქონე პერსონალის მიერ. სწავლებისას გამოიყენება Cisco-ს მასალები.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.
განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 10
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება

4. სწავლის შედეგები

- ადრეული განათლების კურიკულუმის გამოყენება სააღმზრდელო პროცესში;
- უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით სწავლებისთვის ეფექტური და უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებითა და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომებით სააღმზრდელო პროცესის წარმართვა;
- ბავშვის ადრეული სწავლებისა და განვითარების მიმდინარეობაზე დოკუმენტური დაკვირვების წარმოება;
- ბავშვის განვითარების შესახებ უკუკავშირის განხორციელება.

5.**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ სულ მცირე სრული ზოგადი განათლება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით. სასწავლო პროცესი წარიმართება 10 კვირის განმავლობაში და პროგრამის მოცულობა 216 საათია. სწავლებისას გათვალისწინებულია როგორც ინტერაქციული მეცადინეობები, ისე პრაქტიკული სწავლება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულებები: ა(ა)იპ ქ. თბილისის 36-ე ბაგა-ბაღი; ა(ა)იპ ქ. თბილისის 58-ე ბაგაბაღი; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შპს „ანიონა“; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შპს „თამარელა“ მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. პროგრამის სწავლის შედეგები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმის გამოყენება სააღმზრდელო პროცესში 2. უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით სწავლებისთვის ეფექტური და უსაფრთხო გარემოს შექმნა 3. ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინებითა და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომებით სააღმზრდელო პროცესის წარმართვა 4. ბავშვის ადრეული სწავლებისა და განვითარების მიმდინარეობაზე დოკუმენტური დაკვირვების წარმოება 5. ბავშვის განვითარების შესახებ უკუკავშირის განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** სახელწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA)მუშაობა
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში 8**
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
4. **სწავლის შედეგები:**

1. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრაცია;
2. სატენდერო განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება;
3. სატენდერო წინადადების და წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება ;
4. ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა .

5.პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა განკუთვნილია ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, იურიდიული პირის სახელით. დაარეგისტრირონ იურიდიული პირი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, განათავსონ სატენდერო განაცხადები და სატენდერო დოკუმენტაცია, მონაწილეობა მიიღონ შესყიდვების პროცესში, შესყიდვის საშუალების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, პრაქტიკული ქეისების გამოყენებით, სიმულაციური მოდულის გამოყენებით. 4 პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.

6.პროგრამის მიზნები: პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელებს შეასწავლოს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მუშაობა, რათა მათ სამეწარმეო იურიდიული პირების სახელით შეძლონ მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერებში, როგორც შემსყიდველის, ისე მიმწოდებლის სტატუსით.
აღნიშნული კომპეტენციების განვითარება ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში შემსყიდველის მხრიდან არსებული რისკების შემცირებას, ხოლო მეორეს მხრივ გაზრდის მეწარმე იურიდიული პირების შესაძლებლობებს განახორციელონ საკუთარი საქონლის, მომსახურების და სამუშაოს შეთავაზება სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. ამ კომპეტენციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და პოსტპანდემიური ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-8 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით.
შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა

SBA

1. პროგრამის სახელწოდება: საავტომობილო გადაზიდვების ციფრული ლოგისტიკა
2. პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
4. სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:
   საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მარშრუტის დაგეგმვა
   საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მომზადება
   საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ხარჯების კალკულაცია
   საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების დოკუმენტების შევსება
   საავტომობილო გადაზიდვების მონიტორინგი
5. პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც, სულ მცირე, ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ საავტომობილო გადაზიდვებთან დაკავშირებული პროცედურები.

პროგრამის მოცულობა 160 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 144 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 10 საათი, შეფასებას - 6 საათი.

სწავლების განმავლობაში თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A და B სასწავლო გარემოში. ასევე, თეორიული კომპონენტის სწავლება შესაძლებელია დისტანციურად, MS TEAMS-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციაში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-10 კვირას.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებსსახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.

გერიატრიული ასისტენტი

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** გერიატრიული ასისტენტი
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 6
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მინიმალური ასაკი 18 წელი, სრული ზოგადი განათლება
4. **სწავლის შედეგები:**

1. მოვლის პრინციპების განმარტება;
2. ეფექტური კომუნიკაცია მოვლაში;
3. გერიატრიული ასაკის თავისებურების განმარტება;
4. მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
5. დამოუკიდებლობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
6. პროფილაქტიკური ღონისძებების ჩატარება.

5.პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას, ასაკით არიან 18 წელს ზემოთ და აქვთ სურვილი შეიძინონ გერიატრიული ასაკის პირის მოვლის საჭიროებებზე მორგებული ცოდნა და უნარჩვევები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 6 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს. სასწავლო პროცესის თეორიული კომპონენტი მიმდინარეობს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს ბაზაზე, ასევე, თეორიული კომპონენტის სწავლება შესაძლებელია დისტანციურად, MS TEAMS-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის სწავლება წარიმართება ააიპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის ბაზაზე. განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-6 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება თეორიული ცოდნის შემოწმებითა და პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.

ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)

SBA

1. **პროგრამის სახელწოდება:** ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 13 კვირა
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:**

უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მინიჭებული ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

- ფარმაცევტი
- ფარმაცევტის თანაშემწე
- ფარმაციის ბაკალავრი
- ფარმაციის მაგისტრი
- პროვიზორი
- დიპლომირებული მედიკოსი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი ზოგადი პროფილის ექიმი (მკურნალი/პედიატრი/სამხედრო ექიმი) ან ექიმი სპეციალისტი (საექიმო სპეციალობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის შესაბამისად)

4. **სწავლის შედეგები:** კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მომხმარებელთან ეფექტური და პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება;
- სხვადასხვა პათოლოგიების დროს ფარმაცევტული ზრუნვა;
- მომხმარებლისთვის ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების რაციონალური შერჩევა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

5.პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი დარგობრივი უმაღლესი ან პროფესიული განათლება და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს/განაახლოს თეორიული ცოდნა /პრაქტიკული უნარები ფარმაცევტული ზრუნვის (კონსულტირების) მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლიობა 264 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 174 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 80 საათი, შეფასებას - 10 საათი. პროგრამა განხორციელდება 13 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 18-28 საათი. თეორიული კომპონენტი განხორციელდება - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში , აგრეთვე შესაძლებელია დისტანციურად განხორციელება, ხოლო პრაქტიკული - პრაქტიკის ობიექტზე შპს პსპ ფარმას საფთიაქო ქსელში.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, სერტიფიკატის დანართს და ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს ფარმაცევტულ დაწესებულებაში (აფთიაქში).

საწყობის ლოგისტიკა

SBA

1. პროგრამის სახელწოდება: საწყობის ლოგსტიკა
2. პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9
3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
4. სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) კურსდამთავრებულს შეუძლია:
   ტვირთის მიღება საწყობში
   ტვირთის შენახვა სათავსოში
   ტვირთის გაცემა საწყობიდან
   სასაწყობო დოკუმენტაციის წარმოება
5. პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ საწყობის ლოგისტიკა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში.

პროგრამის მოცულობა 108 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 96 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 8 საათი, შეფასებას - 4 საათი. სწავლების განმავლობაში თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A და B სასწავლო გარემოში. ასევე, თეორიული კომპონენტის სწავლება შესაძლებელია დისტანციურად, MS TEAMS-ის ელექტრონულ პლატფორმაზე, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტს გაივლიან აკადემიის პარტნიორ ლოგისტიკურ კომპანიაში - შპს ,,გაკო ტერმინალი"

მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.

განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და სერტიფიკატის დანართს.

SBA

დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში

1. **პროგრამის სახელწოდება:** დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებში
2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 12 კვირა
3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** საბაზო განათლება
4. **სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევა
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაყიდვების ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება 3. პროდუქციის ეფექტიანი განლაგება (მერჩენდაიზინგი)
- შეკვეთების მიღება და გაფორმება
- ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელება
- საწყობიდან პროდუქციის მიღება/ჩაბარება
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქონლის ლოგისტიკური ოპერაციების განხორციელება
- პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შევსება და შეგროვება განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის შეგროვება პროგრამის ხანგრძლივობა:

5. **პროგრამის მოკლე აღწერა:** პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, ვისაც უდასტურდება მინიმუმ საბაზო განათლების ფლობა და სურვილი აქვს პროფესიული საქმიანობა გააგრძელოს სავაჭრო სფეროში. სწავლების 8 კვირის განმავლობაში მსმენელები თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას გაივლიან შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს სიმულაციურ გარემოში, სადაც დარგის სპეციალისტებისგან მიიღებენ თანამედროვე ცოდნასა და უნარებს. დანარჩენი 4 კვირის განმავლობაში, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის ქსელში გაერთიანებულ კომპანიებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური გაზიანი და მის გარეშე სასმელების, თამბაქოს, ე.წ „ქიმიის“, სამშენებლო მასალების, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სათამაშოების, ფარმაცევტული და სხვა სახის საქონლის ვაჭრობა/დისტრიბუცია. სწავლების პროცესი წარიმართება ინტერაქციული და პრაქტიკული მუშაობის მეთოდების გამოყენებით. მსმენელები სიტუაციური სავარჯიშოებისა და პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით მიიღებენ პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ცოდნას და განივითარებენ შესაბამის უნარებს. მსმენელები შეფასდებიან როგორც თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტში, ისე კონკრეტული დავალებების შესრულების პროცესში. სწავლებისა და შეფასების მოცემული მეთოდები უზრუნველყოფს მაღალი კომპეტენციის კადრების მომზადებას და დასაქმების შესაძლებლობების ამაღლებას.

პროგრამა ხორციელდება აკადემიის პარტნიორ ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციასთან ერთად!

მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი

1. **პროგრამის სახელწოდება:** მარკეტინგის და გაყიდვების სპეციალისტი - მარკეტერი

2. **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 12 კვირა

3. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** - სრული ზოგადი განათლება;
   - საქონლის/მომსახურების გაყიდვის პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება (გამყიდველი, კონსულტანტი, სავაჭრო აგენტი და სხვა)

4. **სწავლის შედეგები:**
   - მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების იდენტიფიცირება;
   - გაყიდვების არხების იდენტიფიცირება და გაყიდვების პროცესის დაგეგმვა;
   - ორგანიზაციის შესაბამისი ბაზრის სეგმენტაცია;
   - ორგანიზაციის მარკეტინიგისა და გაყიდვების კამპანიების ორგანიზება;
   - ორგანიზაციის სოციალური მედია კამპანიის ორგანიზება;
   - გაყიდვების ვარდნის რისკებისა და საპრევენციო ზომების განსაზღვრა.

5. **პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული გადამზადების პროგრამა - განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ სულ მცირე სრული ზოგადი განათლება და საქონლის/მომსახურების გაყიდვების პროცესში მონაწილედ მუშაობის არანაკლებ ექვსი თვის სამუშაო გამოცდილება, რაც დასტურდება დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული დოკუმენტით. სასწავლო პროცესი წარიმართება 12 კვირის განმავლობაში და პროგრამის მოცულობა 108 საათია. სწავლებისას გათვალისწინებულია როგორც ინტერაქციული მეცადინეობები, ისე პრაქტიკული სწავლება. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან აკადემიის A სასწავლო გარემოში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი. პრაქტიკის კომპონენტში მსმენელები მარკეტინგულ აქტივობებს განახორციელებენ იმ ორგანიზაციების მაგალითებზე, რომელთა მომსახურებასაც ახორციელებს შპს ევროპის ბიზნეს სკოლა და კონსალტინგი.

მსმენელთა შეფასება ხორციელდება ტესტირებითა და პრაქტიკული დავალების (პროექტის) შესრულებითა და წარმოდგენით. სწავლის შედეგების დადასტურებისათვის განსაზღვრული დავალებები, ერთიანობაში ქმნის ორგანიზაციის მარკეტინგისა და გაყიდვების მიმართულებით აქტივობათა კომპლექსს. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს და დანართს, რომელშიც ფიქსირდება პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი

სტუდენტური ცხოვრების ფოტოკოლაჟი



ქ. თბილისი, 0114,
რუსთავის გზატკეცილი 18/22
240-34-40; 240-33-40
240-34-40
info@sba.edu.ge
www.sba.edu.ge
sba_academy
SBA - Business Academy of Georgia

საქართველოს ბიზნესის აკადემიის ხელმძღვანელი პირი

დირექტორი : ია ერაძე

240–34–40 (102)
i.eradze@sba.edu.ge

ადმინისტრაციის სამუშაო საათები:
ორშაბათი-შაბათი
10:00 -19:00 სთ

მიიღე ხარისხიანი განათლება